კლიტე დავითისა

,,და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა მიუწერე: ამას იტყვს წმიდაჲ და ჭეშმარიტი, რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი განაღებს, და არავინ დაჰჴშას, გარნა განმღებელმან მან, და არავინ განაღოს დაჴშული იგი''

(გამოცხ. 3.7)

მაისი, 2026 წელი

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთი

11 მაისს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის XIV გაფართოებულ კრებაზე საქართველოს ახალი კათოლიკოს-პატრიარქი აირჩიეს.

კენჭისყრაზე მღვდელმთავართა ხმების უმრავლესობა მიიღო საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა შიომ და იგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი საჭეთმპყრობელი გახდა, სახელით შიო III.

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრიდან კათოლიკოს-პატრიარქი სიონის საპატრიარქო ტაძარში გაეგზავნა, სადაც ან გარდაცვლილი უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის განსასვენებელთან პანაშვიდი გადაიხადა და სასულიერო პირებსა და მრევლს ქადაგებით მიმართა.

გაგრძელება მეორე გვერდზე

სრულიად საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) სიტყვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის XIV გაფართოებული საეკლესიო კრების გახსნის წინ

ყოვლადსამღვდელონო მღვდელთმთავარნო, ღირსნო და პატიოსანნო მამანო, დედანო, პატივცემულო დელეგატებო, მოწვეულო სტუმრებო, ძვირფასო ძმებო და დებო!

დღეს ყოვლადწმინდა სამების ამ დიდებულ ტაძარში განსაკუთრებული მისიით შეგვკრიბა უფალმა.

საუკუნეების წინ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობით დაიწყო ჩვენი ეკლესიის ქრისტეს სიყვარულით ნასაზრდოები ისტორია. წმინდა მოციქულების, ანდრია პირველწოდებულის და სიმონ კანანელის, ქადაგებით განათლებულმა ერმა პირველ საუკუნეშივე შეძლო ქრისტეს ნათელთან ზიარება. მოგვიანებით კი მოციქულთა სწორის, ქალწულ ნინოს ღვაწლით სამარადჟამოდ დაიმარხა გულში მაცხოვრის რწმენა, როგორც ქართველი ერის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

1700 წლის წინ ჩვენმა ერმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნულ-სარწმუნოებრივი ერთობის, თვითმყოფადობის, კულტურის, სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და აზროვნების მთავარ საყრდენად იქცა.

ამიტომაც არის ერთმანეთთან ასე ძალუმად გადაჯაჭვული ჩვენი ეკლესიისა და ერის ისტორია, ამიტომ იყვნენ ჩვენი გმირი წინაპრები და წმინდა მეფე-დედოფლები ქრისტეს ერთგული მსახურნი, მაგალითი ჭეშმარიტი სარწმუნოების.

ჩვენი ეკლესიის მნათობთა შორის განსაკუთრებით ბრწყინავს იმ სასულიერო პირთა ღვაწლი, რომელთა მსახურებაც, ქრისტეს რწმენის ერთგულებასთან ერთად, ქვეყნის ერთგულებას, სახელმწიფოებრიობის სიმტკიცესა და შენარჩუნებას ემსახურებოდა.

დღეს აქ შეკრებილნი მადლიერებითა და სიყვარულით ვიხსენებთ საქართველოს ეკლესიის მამამთავრებს, მათ შორის, წმინდა მღვდელმოწამე კირიონს, წმინდა ამბროსი აღმსარებელს, წმინდა კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს, XX საუკუნეში მოღვაწე სხვა ღირსეულ კათოლიკოს-პატრიარქებს: ლეონიდეს, ქრისტეფორეს, მელქისედეკ III-ს, ეფრემ II-ს, დავით V-ს და, რა თქმა უნდა, ჩვენს ძვირფას სულიერ მამას, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს.

40 დღეზე მეტმა განვლო მისი გარდაცვალებიდან. ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა მისი უწმინდესობის სულიერი სიდიადე და ნამდვილი სახე მოძღვრისა, მწყემსმთავრისა, რომელიც მთელი თავისი ღვაწლით, დიდი სიყვარულითა და რწმენით ერს აერთიანებდა და უფლისკენ მიუძღოდა.

მრავალჯერ გვიფიქრია, როგორ უნდა გაუმკლავდეს ეკლესია თანამედროვე გამოწვევებს, როგორ დაიცვას თავისი სამწყსო და მისი მომავალი. ამ კითხვებზე პასუხები კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერ ბრძნულად გადადგმულ ნაბიჯებსა და გაკვალულ გზაშია.

ძნელია მოიძებნოს საეკლესიო ცხოვრების სფერო, რომელზეც მის უწმინდესობას და უნეტარესობას არ უზრუნია. მათ შორისაა: ხალხთან ღვთის სიტყვის მიტანა და მისიონერობა, საეკლესიო და სამონაზვნო ცხოვრების, ღვთისმსახურების და ეკლესიის იურისდიქციასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება, საეკლესიო-ადმინისტრაციული მოწყობის სრულყოფა, ეპარქიებს შორის ურთიერთობის გაღრმავება, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განმტკიცება, ეკლესიის საგარეო ურთიერთობების განვითარება, საზღვარგარეთ არსებულ ქართულ დიასპორებსა და ეპარქიებზე ზრუნვა, განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა, ახალგაზრდების აღზრდაზე ზრუნვა, ტაძრებთან სამრევლო სკოლების გახსნა, ქართული ტრადიციული გალობის და სხვა სახელოვნებო დარგების აღდგენა, ოჯახური ღირებულებების დაცვა, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისთვის განსაკუთრებული ლოცვა, ფიქრი და სხვ.

სწორედ ამგვარად აღიბეჭდა მისი ცხოვრება და ნახევარსაუკუნოვანი დაუღალავი საპატრიარქო მსახურება ჩვენს მეხსიერებაში.

მისი მემკვიდრეობისადმი პატივისცემა და ეკლესიის მომავალზე ფიქრი გვავალდებულებს, განვაგრძოთ ეს გზა ეკლესიის ერთგული მსახურებით, სიყვარულით, ურთიერთპატივისცემითა და ერთობით, რაც ყოველთვის იყო მისი უწმინდესობის უმთავრესი საზრუნავი.

დღეს ისტორიული მოვლენის წინაშე ვდგავართ. ყოვლადწმინდა სამების ამ დიდებულ ტაძარში შეკრებილნი, სრულად ვართ მინდობილი ღვთის განგებულებას, რათა ერთობით და თანხმობით ავირჩიოთ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ახალი მწყემსმთავარი.

რა თქმა უნდა, თანამედროვე ცხოვრების ქარტეხილების, დიდი ისტორიული გამოცდილებისა და ღვთივგამორჩეული პიროვნებების ღვაწლის ფონზე, განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა ჩვენი არჩევანი ღვთისა და ერის წინაშე, მაგრამ, ამავდროულად, ეს მოვალეობა გვაძლევს ძალას და იმედს, რომ უფლის შეწევნით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც ყოველთვის იყო ერის გამაერთიანებელი, ჭეშმარიტი რწმენის, ქართული ენის, ტრადიციებისა და ისტორიული მეხსიერების დამცველი, კვლავაც ამ გზით გააგრძელებს სვლას.

მადლობა ღმერთს, რომ დღეს აქ შეკრებით, მშვიდობითა და ერთობით ვაგრძელებთ ეკლესიისა და ერისთვის მსახურებას.

„უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფსალ. 28. 11), ამინ!

ახლად არჩეული უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ შიო III-ის სამადლობელი სიტყვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის XIV გაფართოებული კრების დასასრულს

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, პატიოსანნო მამანო, დედანო, ძმანო და დანო!

ძნელია ჩემთვის ამ წუთებში გამოვხატო თქვენ წინაშე ჩემი სულიერი განწყობა, ფიქრები, განცდა, რაც თან ახლავს იმ არჩევანს, რომელმაც წილად მარგუნა დიდი პატივიც და მძიმე ჯვარიც.

უპირველესად, მადლობას ვწირავ მაღალ ღმერთს ამ დიდი წყალობისათვის, რომელიც მოიღო ჩემს უღირსებაზე.

მადლობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა დასს, ღირს მამა შიოს მღვიმელს, სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის მფარველს - წმინდა ღირს ალექსი სენაკელს (შუშანიას) და სხვა ჩვენს სასიქადულო მოღვაწეებს, დიდ წმინდანებს, შემწეობისა და მფარველობისთვის.

მადლობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მღვდელმთავრებს ჩემდამი გამოჩენილი ესოდენ დიდი ნდობისთვის, თითოეულ ადამიანს, ვინც დაუღალავად იღვაწა დღევანდელი კრების ღირსეულად წარმართვისათვის, კრების ყველა დელეგატს და სტუმარს.

განსაკუთრებული მადლობა ქართველ ხალხს სიყვარულისთვის, ლოცვისა და თანადგომისათვის. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის სამღვდელოებას და მრევლს გამოვლენილი სიყვარულისთვის და მათთან ერთად ღვთისა და ეკლესიის სამსახურში გატარებული წლებისთვის.

დიდი მადლია და წყალობა ღვთისა. ამავდროულად, მძიმეა მწყემსმთავრობის ჯვარი და პასუხისმგებლობა. შეუძლებელია უფლის განგებულების და განზრახვის ამოცნობა და პასუხის მოძიება კითხვაზე, თუ რატომ ინება ღმერთმა ასეთი დიდი მადლისა და მსახურების მოცემა და დაკისრება ჩემზე. გაცნობიერებული მაქვს, ერთი მხრივ, ამ მოწოდების სიდიადე და პატივი, მეორე მხრივ, ჩემი ადამიანური სიმწირე და უძლურება.

ვსასოებ ყოვლადმოწყალე უფალს, ყოვლადწმინდა დედა ღვთისმშობელს, წმინდანთა დასს, ჩვენს წინამორბედ კათოლიკოს-პატრიარქთა ლოცვას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვას, ასევე, ქართველი ხალხის ლოცვას და სიყვარულს.

გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის! ილოცეთ ჩვენი ეკლესიის მომავლისთვის, რათა ერთობით, სიყვარულითა და მშვიდობით ვადიდოთ უფალი და ღირსეულად გავაგრძელოთ ჩვენი მსახურება ეკლესიისა და ერის საკეთილდღეოდ.

ახლა კი ვილოცოთ და მადლობა შევწიროთ ღმერთს დღევანდელი დღისთვის.

შევასრულოთ სამადლობელი ლოცვა.

2026 წლის 12 მაისს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღეს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ შიო III-ის აღსაყდრება

სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს შეეგებნენ წმინდა სინოდის წევრები, სხვა სასულიერო პირები და მრავალრიცხოვანი მრევლი.

ახლად არჩეულმა უწმინდესმა და უნეტარესმა **შიო III-მ** კათოლიკოს-პატრიარქის რანგში პირველი სადღესასწაულო წირვა აღავლინა. თანამსახურებდნენ მღვდელმთავრები და სხვა სასულიერო პირები.

საზეიმო წირვის დროს ახლად არჩეულ კათოლიკოს-პატრიარქს გადაეცა კვერთხი, ჯვარი და ორი პანაღია, შემდეგ კი უბოძეს უძველესი საპატრიარქო მიტრა. აღსაყდრების დასრულების შემდეგ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარს გადაეცა ისტორიული საპატრიარქო კუნკულ-ბარტყული.

აღსაყდრების ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა და აღნიშნული დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა **დანიელმა** (დათუაშვილი).

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **შიო III-მ**.

აღსაყდრებას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, თბილისის მერი კახა კალაძე, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურის სფეროს წარმომადგენლები, მრავალრიცხოვანი მრევლი.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მფარველობა, წმინდა ანდრია მოციქულისა და სხვა წმინდანთა შეწევნა არ მოჰკლებოდეს უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ **შიო III-ს!**

აქსიოს!

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილი) სიტყვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის, შიო III-ის აღსაყდრების დღეს

უწმინდესო და უნეტარესო, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტო, დიდო მეუფე, მამაო ჩვენო შიო!

ყოვლადსამღვდელონო მეუფენო, მამანო, დედანო, ძმანო და დანო, ბატონებო და ქალბატონებო!

დღეს საქართველოს ღვთივკურთხეული, ორიათასწლოვანი ივერიის ეკლესია აღვსებულია განსაკუთრებული სიხარულით, იგი ზეიმობს საქართველოს საპატრიარქო ტახტზე ახალი საჭეთმპყრობლის აღსაყდრებას.

საჭეთმპყრობელი ეკლესიისა არის განსაკუთრებული შუამავალი შორის ღვთისა და ერისა, განსაკუთრებულია ის მადლი, რომლითაც ერი უკავშირდება ეკლესიის მეთაურის საშუალებით.

ნეტარხსენებული კათოლიკოს-პატრიარქის აღსრულების შემდგომ დღეს კვლავ აღდგა უფალთან ჩვენი ერის მადლისმიერი, გამორჩეული მამა-მთავრული შუამავლობით გამოწვეული სინერგიული კავშირი. უფალთან მტკიცე და სისხლხორცეულმა კავშირმა გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე. ამ კავშირის შენარჩუნება, განმტკიცება და სრულყოფა მუდამ იყო და იქნება უმთავრესი საზრუნავი ყოველთა მართლმადიდებელთა.

ნახევარი საუკუნის წინ ჩვენს საზოგადოებაში განადგურების პირას იყო მისული არა მარტო სინერგიული ცხოვრების წესი, არამედ თავად ამ კავშირის მნიშვნელობის გაცნობიერების უნარი. სწორედ ამ დროს მოუვლინა უფალმა საქართველოს მწყემსი კეთილი, დიდი მეუფე, მამაი ჩვენი ილია, რომელმაც, ფაქტობრივად, არა მარტო აღადგინა უფალთან გაწყვეტილი სინერგიული კავშირი, არამედ სრულყოფის მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი.

უწმინდესის გარდაცვალების შემდეგ ჩვენ ვიხილეთ ღვთისა და მოყვასისადმი ჭეშმარიტი რწმენით და სიყვარულით აღსავსე ერთობა ჩვენი ერისა, ასევე ჩვენ ვიხილეთ სიმწიფე და ერთსულოვნება სასულიერო დასისა და განსაკუთრებით — წმინდა სინოდის მღვდელმთავართა. მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, წმინდა სინოდის წევრებმა შეინარჩუნეთ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული.

უწმინდესი ილია მეორის სულიერ შვილებს გვმართებს, გავაგრძელოთ მის მიერ გაკვალულ სამეუფო გზაზე ერთობით მსვლელობა.

ახლად ნაკურთხმა ეკლესიის საჭეთმპყრობელმა შიო III-მ ცხრა წლის განმავლობაში, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ ყოფნისას, გამოავლინა ის თვისებები, რომლებიც აუცილებელია ჩვენი დიდი მამის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. უპირველესად, ეს გახლავთ მის პიროვნებაში არსებული სულიერებისა და ინტელექტის ჰარმონიული თანაარსებობა. ერთი მხრივ, ლოცვისა და ასკეტიზმის სიყვარული, ხოლო, მეორე მხრივ, ანალიტიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის მაღალი კულტურა.

არ არის შემთხვევითი ის, რომ ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით აღდგომიდან მეხუთე, ანუ სამარიტელის შვიდეულში. ამ პერიოდში ეკლესია ჩვენს ყურადღებას ამახვილებს სულიერებისა და ინტელექტის ერთიანობის აუცილებლობაზე. სამარიტელ დედაკაცთან საუბრისას უფალი ბრძანებს: „სულ არს ღმერთი და თაყვანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა აძს თაყვანისცემა“.

შემთხვევითი არც ისაა, რომ ღვთის განგებით, ახალი პატრიარქის კურთხევა დაემთხვა 12 მაისს, ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და საქართველოში აწყურის ხელთუქმნელი ხატით ანდრია პირველწოდებულის შემობრძანების დღესასწაულს. ეს გახლავთ აშკარა ნიშანი იმისა, რომ ახალ პატრიარქს ექნება განსაკუთრებული მფარველობა ღვთის დედისა.

დაე, ღვთისმშობლის, მისი სასწაულთმოქმედი ხატისა და ანდრია მოციქულის მადლი და შეწევნა არ მოჰკლებოდეს ეკლესიის ახალ მეთაურს, მის მეტად საპატიო, მაგრამ ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე მსახურებაში.

დღევანდელი დღის მნიშვნელობა კიდევ იმით არის გამორჩეული, რომ წელს, 12 მაისს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იწყებს ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავის აღნიშნვას. პირველ საუკუნეში დაწყებული ქართველი ხალხის გაქრისტიანების პროცესი დაგვირგვინდა მეოთხე საუკუნის დასაწყისში, 326 წელს. ეს ნიშნავდა ჩვენი ერის ხელახლა სულიერ დაბადებას, ანუ აღდგომას.

უწმინდესი ილია II-ის ეპოქაში ჩვენ კვლავ ვიხილეთ აწ უკვე ერის მეორედ მოქცევის სასწაული, ანუ კიდევ ერთხელ ჩვენი ხალხის სულიერი აღდგომა.

დღევანდელი დღე არის გამაერთიანებელი ღვთისაგან ჩვენი ერისათვის მონიჭებული ამ ორი უდიდესი წყალობისა. დღევანდელ დღეს ახალი პატრიარქის კურთხევა სწორედ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ივერია აგრძელებს თავისი დანიშნულების აღსრულებას — ვიდრე მეორედ მოსვლამდე შეურყვნელად დაიცვას მადლი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა.

ყოვლადწმინდაო სამებაო, მამაო, ძეო და სულო წმინდაო, დიდება და მადლობა შენდა ყოვლისავეთვის!

ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, მფარველო ერისა ჩვენისაო, გადიდებთ და გმადლობთ შენ, ჩვენდამი დედობრივი მზრუნველობისა და სიყვარულისათვის!

უფალო, შეწევნითა შენითა და დედისა შენისათა, დღეს ერი ივერიისა ხარობს და ზეიმობს საქართველოს ეკლესიის ახალი საჭეთმპყრობლის აღსაყდრებას.

პატიოსანო და ცხოველსმყოფელო ჯვარო უფლისაო, შემმუსრველო ეშმაკთაო, ქერუბიმნო, სერაბიმნო, მთავარანგელოზნო და ყოველნო ზეცისა ძალნო, ყოველნო სიწმინდენო საქართველოს ეკლესიისანო, კვართო უფლისაო და სვეტო ცხოველსმყოფელო, სამსჭვალო მაცხოვრისაო და კვართო ღვთისმშობლისაო, ხატნო ზეციერისა დედოფლისანო, აწყურისა და ივერიისაო, ხალენო ილია თეზბიტელისა და ჯვარო ვაზისაო და ყოველნო სიწმინდენო ჩვენი ეკლესიისანო, მადლითა და მეოხებითა თქვენითა მოგვანიჭეთ ძალა მადლიერებისა, რამეთუ დღეინდელსა ამას დღესა ღვთივკურთხეული და ორიათასწლოვანი ივერიის ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე დაბრძანდა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე მამაი ჩვენი შიო III.

ამინ! ამინ! იყავნ! იყავნ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი შიო III-ის სამადლობელი სიტყვა

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო!

პირველ რიგში, სანამ ჩემს სამადლობელ სიტყვას ვიტყვი, მინდა, მეუფე დანიელს დიდი მადლობა გადავუხადო თბილი სიტყვებისა და დალოცვისთვის. მეუფე, შემთხვევით არ არის, რომ მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ახსენეთ თქვენი სიტყვის დასასრულს ასეთი სითბოთი და სიყვარულით.

გამახსენდა ცნობილი ისტორია, როდესაც წინასწარმეტყველი ილია ზეცად ამაღლდა. ჩვენ ვიმყოფებით იმ წმინდა ადგილას, სადაც დაფლულია მისი ხალენი. თქვენ ახსენეთ თქვენს სიტყვაში, თქვენო მეუფებავ. შემთხვევითი არ არის, ეს რომ თქვით, რადგან ჩვენ, ყველანი, ვართ მისი ოჯახი, ის იყო ჩვენი დიდი მამა და ჩვენი ვალია, მართლაც, როგორც ბრძანეთ, გავაგრძელოთ მისი დიდი საქმე.

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ელისე წინასწარმეტყველის ამბავი, რომ სთხოვდა უფალს, ილია წინასწარმეტყველის მრჩობლი მადლი მიეცა მისთვის.

წმინდა იოანე ოქროპირი წერს, რომ ელისე წინასწარმეტყველს ეწოდება „მრჩობლი ილია“. საოცარი შედარება მოჰყავს, საოცარ სახელს უწოდებს: „მრჩობლი ილია“, იმიტომ, რომ ის ევედრებოდა, მრჩობლი მადლი მიეღო, ვიდრე ილია წინასწარმეტყველს ჰქონდა, მაგრამ ამას იმიტომ კი არ ევედრებოდა, რომ უნდოდა, რამეში გასჯიბრებოდა, ეჯობნა ან ილიაზე უკეთესი ყოფილიყო, არა! არამედ იმიტომ ითხოვდა მრჩობლ მადლს, რომ გრძნობდა, ორმაგად და სამმაგად უძლურ იყო ილიასთან შედარებით. სწორედ ამიტომ ითხოვდა ამ მრჩობლ მადლს და ამიტომ ეწოდა მას „მრჩობლი ილია“.

თქვენ რომ ახსენეთ მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, ძალიან გამიხარდა, ვინაიდან ყველამ უნდა ვითხოვოთ უფლისგან ეს მრჩობლი მადლი, რომ ღირსეულად გავაგრძელოთ ჩვენი საეკლესიო ცხოვრება.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ შიო III-ის მიერ სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმული სიტყვა აღსაყდრების დღეს

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ, ბატონო დედაქალაქის მერო, ყოვლადსამღვდელონო მღვდელთმთავარნო, ღირსნო და პატიოსანნო მამანო, დედანო, ქრისტესმიერ საყვარელნო ძმანო და დანო!

დიდია მადლი და წყალობა უფლისა! ამ ღვთივკურთხეულ დღეს აქ, სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში, თქვენ წინაშე მდგარი ვმადლობ და ვადიდებ უფალს. ამავდროულად კი, მიპყრობს კრძალვა და სასოებით შევღაღადებ მას: „მაუწყე მე, უფალო, გზაი, რომელსაცა ვიდოდი“ (ფს. 142, 8), რადგან მძიმეა ჯვარი და პასუხისმგებლობა მწყემსმთავრობისა.

ვსასოებ და მუხლს ვიყრი ყოვლადმოწყალე ღმერთის წინაშე, რომლის განგებულებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდმა კრებამ დამადგინა ანდრია პირველწოდებულის მიერ საფუძველდადებული უძველესი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად.

„არავინ თავით თვისით მოიღის პატივი, არამედ რომელი წოდებულ არნ ღმრთისა მიერ“ (ებრ. 5.4), - ამბობს მოციქული პავლე და მეც, განმცდელი ამ პატივის სიდიადისა და სიმძიმისა, სრულად ვარ მინდობილი ყოვლადწმინდა სამებას, რადგან ამ ჯვრის ტვირთვა ღვთის შეწევნის გარეშე კაცთათვის შეუძლებელია, მაგრამ მანუგეშებს და მამხნევებს უფლის სიტყვები: „არა დაგიტეო, არცა დაგაგდო შენ“ (ებრ 13. 5).

ორი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით გამოემართა საქართველოსკენ, რათა უფლის კვართის მფლობელი ერი ქრისტეს ნათელს ზიარებულიყო. სწორედ უფლის ცოცხალი სიტყვით ჰპოვა ქართველმა ხალხმა თავისი ნამდვილი სახე და ჭეშმარიტი ბუნება. საუკუნეებია იღვწის, იბრძვის, ნაწილებად იხლიჩება, მაგრამ მაინც ერთიანდება ჩვენი ქვეყანა, კარგავს ძვირფას მამულიშვილებს, მაგრამ კვლავ მრავლდება, ეცემა და ისევ ფეხზე დგება, რადგან მოციქულის ღვაწლით განათლებულმა თავის გულში ღრმად დაიმარხა უფლის სიტყვა და „უკუნისამდე არ იხილავს სიკვდილს“ (ინ. 8, 51), ქრისტიანობა ხომ მან საკუთარი იდენტობის, აზროვნებისა და თვითმყოფადობის ორიენტირად აქცია.

სიმბოლურია, რომ დღეს ჩვენი ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობას აღნიშნავს და განადიდებს მას. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან ერთად კი განადიდებს წმინდა მოციქულ ანდრიას. ასეთ წუთებში განსაკუთრებით ვსასოებთ მათ და ვლოცულობთ, რომ უფლის დედის წილხვდომილობა და მადლი, მაცხოვრის მიერ პირველწოდებული მოწაფის სიტყვის ძალა არასდროს მოჰკლებოდეს ჩვენს ერსა და ეკლესიას.

1700 წლის წინ ჩვენმა ერმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ამ დღიდან მოყოლებული ეკლესია იქცა ერთობის, თვითმყოფადობის, სულიერი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ბურჯად.

თანამედროვე ცხოვრება ახალი სირთულეების წინაშე გვაყენებს. ადამიანთა გულები გაუცხოებული და გაციებულია, ათასგვარი საცდური ანაცვლებს რწმენას, ზნეობრივ ფასეულობებს, ოჯახს და საყვარელ ადამიანებს. ამიტომ ერთიორად მძიმეა ეკლესიის მწყემსმთავრობის ტვირთი, რთულია, „სარწმუნო და გონიერი მონის“ (მთ. 24. 45-46) მსგავსად, ღირსეულად გაუმკლავდე ამასოფლის გამოწვევებს, მაგრამ აუცილებელია, მეტი ძალისხმევა და ღვაწლი ქრისტეს რწმენის საქადაგებლად, მისი ცოცხალი სიტყვის ადამიანთა გულებამდე მისატანად. ამიტომ გვმართებს, თანაბრად გავიზიაროთ ხალხის სიხარულიცა და ტკივილიც, ვემსახუროთ და საყრდენად ვექცეთ მათ, რადგან ეკლესიის ძალა მხოლოდ სიტყვაში არ არის, მისი მოწოდება ქრისტესმიერ სიყვარულსა და ერთმანეთის სიმძიმის ტვირთვაშია (გალ. 6, 2). საჭიროა, ფართოდ გავუღოთ ეკლესიის კარი ყველას, მხოლოდ ტაძრის ამბიონთან ნუ დავუცდით მოყვასის მოსვლას, ტაძრის კედლებს მიღმაც შევეტკბოთ ჩვენს სულიერ შვილებს, რომლებიც, ვინ იცის, უძღებ შვილთა მსგავსად, ვერ ბედავენ ჩვენამდე მოსვლას. სწორედ ამ მსახურებაში გამოიწრთობა ჩვენი სული, ჩვენი მოწოდება, რადგან გვასწავლის უფალი: „რომელსა უნდეს თქვენ შორის დიდ ყოფაი, იყოს თქუენდა მსახურ“ (მთ. 20, 26).

ქვეყნის ხვალინდელი დღე და ჩვენი შვილები არიან მომავალი ჩვენი. ისინი ყოველდღიურად გვაკვირდებიან, გვისმენენ, სწავლობენ ჩვენგან, ხშირად ცხოვრების განსხვავებულ გზებს ირჩევენ, მაგრამ მაინც შვილებად რჩებიან. სწორედ მათ სჭირდებათ ყველაზე მეტად ჩვენი სიყვარული, ზრუნვა და თანადგომა. მათში უნდა განმტკიცდეს ქრისტეს რწმენა, ეროვნული ფასეულობები, ტრადიციებისადმი პატივისცემა, პასუხისმგებლობის განცდა ერისა და ეკლესიის წინაშე. ეს კი ისევ და ისევ ჩვენ უნდა გავაკეთოთ, ისე უნდა ვიცხოვროთ და ვიშრომოთ, რომ მათთვის ღირსეულ მაგალითად ვიქცეთ, რათა მომავალში ერთსულოვანი, მორწმუნე, ღვთისა და მოყვასის სიყვარულით განმსჭვალული მოქალაქეები ჰყავდეს ჩვენს ქვეყნას. აუცილებელია განათლება, საზოგადოებრივი ცხოვრება და ყოველდღიური საქმიანობა დაფუძნებული იყოს არა მხოლოდ ლიტონ ცოდნაზე, არამედ ქრისტესმიერ სიყვარულსა და სულიერ ფასეულობებზე, რათა, როგორც გვასწავლის წმინდა წერილი, „ყოველნი ერთ იყვნენ“ (ინ. 17, 21).

სწორედ ეს არის მოციქულებრივი გზის ერთგულება და სიყვარულზე დაფუძნებული მსახურება, რომლის აღსრულებაც ევალება ეკლესიის მწყემსმთავარს.

ამიტომ დღეს დიდი მოციქულებრივი და სულიერი მემკვიდრეობის წინ მდგარი, შვილებრივი სიყვარულით ვიყრი მუხლს ჩემს წინამორბედ დიდ კათოლიკოს-პატრიარქთა ღვაწლის წინაშე და შევთხოვ მათ ნეტარ სულებს, მომცენ ძალა და შეწევნა, რათა მათ მსგავსად, როგორც „კეთილმა მწყემსმა“, შევძლო „სული დავდო ცხოვართა ჩემთათვის“ (ინ. 10, 11) და მორჩილად ვზიდო პატრიარქობის მძიმე ჯვარი, როგორც „უღელი ტკბილი და ტვირთი სუბუქი“ (მთ. 11, 30).

ამ წუთებში განსაკუთრებით ვგრძნობ, რაოდენ ეკლიანი და რთული იყო ჩვენი დიდი სულიერი მამის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მწყემსმთავრობის გზა. როგორც მორჩილ და მოყვარულ შვილებს, გვმართებს, მოვუფრთხილდეთ მის სულიერ მემკვიდრეობას და გავაგრძელოთ მისი გზა, გზა ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის მსახურებისა, ერთგულებით ვიშრომოთ ეკლესიისა და რწმენის განსამტკიცებლად, ხალხში სიყვარულს გასამრავლებლად, ერთობისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად.

დღეს თქვენ წინაშე მდგარი კიდევ ერთხელ ვიხსენებ ჩვენი ეკლესიის და ერის ღვთივკურთხეულ წარსულს, მის მფარველ წმინდანებს, გმირ წინაპრებს, წმინდა-მეფე დედოფლებს და კიდევ უფრო ძალუმად მიპყრობს ჩემი სიმწირის და ადამიანური უძლურების განცდა. შეუძლებელია უფლის განგებულების ამოცნობა და პასუხის მოძიება კითხვაზე, თუ რატომ დაუშვა ღმერთმა ასეთი დიდი მადლისა და მსახურების ტვირთვა ჩემზე. თუმცა კი გაცნობიერებული მაქვს მისი პატივიც, სიდიადეც და სიმძიმეც...

ვსასოებ ყოვლადმოწყალე უფალს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, წმინდა ანდრია მოციქულსა და მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა დასს, ღირს შიოს მღვიმელსა და ღირს ალექსი სენაკელს (შუშანიას). ვმადლობ მათ და ვთხოვ შეწევნას და კურთხევას კათოლიკოს-პატრიარქობის ურთულეს გზაზე.

მადლობას ვუხდი საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მღვდელმთავრებს ჩემდამი გამოვლენილი ესოდენ დიდი ნდობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გითხრათ თქვენ, ჩვენს საყვარელ ხალხს, ჩვენს მრევლს, ამ რთულ დღეებსა და წუთებში ლოცვისა და თანადგომისათვის.

მადლობა მინდა, ვუთხრა ასევე, როგორც იტყოდა მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ჩვენს საამაყო სამვდელოებას და საამაყო სამონაზვნო დასს ლოცვებისთვის, თანადგომისა და სიყვარულისთვის.

გთხოვთ, ილოცეთ ჩემთვის! ილოცეთ ჩვენი ეკლესიის მომავლისთვის, რადგან თქვენი ლოცვა მომცემს ძალას, ერთგულებითა და თავმდაბლობით ვემსახურო მართლმადიდებელ ეკლესიას და ღვთივკურთხეულ ქართველ ერს.

დაე, სიყვარულითა და რწმენით განმტკიცებულნი ერთობით ვადიდებდეთ უფალს და ვიყოთ „ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (ინ. 10, 16.). ამინ!

ქრისტე აღდგა!

17 მაისს მთელ საქართველოში მეცამეტედ აღინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის მიერ დაწესებული ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე

წელს განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო თბილისში. ქაშვეთის ტაძრიდან ლოცვითი მსვლელობა ყოვლადწმიდა სამების სახელობის საკათედრო ტაძრისკენ წარემართა.

ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარში მრევლს სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა შიო მესამემ.

„აჰა - ესერა, რაჲმე კეთილ, ანუ რაჲმე შუენიერ, არამედ დამკჳდრებაჲ ძმათა ერთად?“ (ფს. 132, 1), — უგალობს უფალს წმინდა დავით მეფსალმუნე და ჩვენც სწორედ ამ ძმური ერთობითა და სიყვარულით შევიკრიბეთ დღეს აქ, ყოვლადწმინდა სამების ტაძარში, რათა მშვიდობითა და მადლიერებით ვადიდოთ ყოვლადმოწყალე უფალი.

განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმები ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებს. გულითადად გიხდით მადლობას ამ მნიშვნელოვან დღეს ჩამობრძანებისათვის, თქვენი აქ ყოფნა, ლოცვა და თანადგომა არის დასტური ჩვენი ეკლესიების სულიერი ერთობისა და ქრისტესმიერი სიყვარულისა. გვწამს, რომ სწორედ ამ ერთობითა და სისავსით განმტკიცდება ჩვენი რწმენა და ჩვენი ეკლესიების ერთობა.

დღეს თქვენ წინაშე მდგარი სიმდაბლითა და კრძალვით კიდევ ერთხელ ვწირავ მადლობას ყოვლადმოწყალე უფალს კათოლიკოს-პატრიარქობის დიდი პატივისათვის. რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, გაცნობიერებული მაქვს ამ მოწოდების სიდიადე და ჯვრის სიმძიმე. მეორე მხრივ კი, ვგრძნობ ჩემს ადამიანურ სიმწირესა და უძლურებას. ამიტომ თქვენი ლოცვითი თანადგომა კიდევ უფრო მეტ სულიერ სიმტკიცესა და მხარდაჭერას მმატებს ამ მეტად საპასუხისმგებლო ჟამს.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქართველ ხალხს, ჩვენს სულიერ შვილებს, ჩვენს სამღვდელოებასა და ბერ-მონაზვნებს ლოცვისთვის, თანადგომისა და სიყვარულისთვის, ამ დღეებში რომ ასე შეგვეწეოდა და გვამხნევებდა, გვმატებდა ძალასა და სიმტკიცეს.

თითქმის ორი ათასი წელი გავიდა, რაც წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით გამოემართა საქართველოსკენ ქრისტეს რწმენის საქადაგებლად. უფლის კვართის მფლობელმა ერმა გულის კარი გაუღო მაცხოვრის ცოცხალ სიტყვას და წმინდა მოციქულების — ანდრიასა და სვიმონ კანანელის — ქადაგებით პირველ საუკუნეშივე შეძლო ქრისტეს ნათელთან ზიარება. მოგვიანებით კი, მოციქულთა სწორის, ქალწულ ნინოს ღვაწლით სამარადჟამოდ დაიმარხა გულში მაცხოვრის რწმენა, როგორც ქართველი ერის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და თვითმყოფადობის, სულიერი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების მთავარი საფუძველი.

წლევანდელი წელი იმითაც არის გამორჩეული, რომ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წელს ვზეიმობთ. ძვირფასო სტუმრებო, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და უახლოეს მომავალში მოგიწვიოთ ამ თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, რათა ქრისტესმიერი ერთობით ვიდღესასწაულოთ ეს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა.

სიმბოლურია ისიც, რომ დღეს ჩვენი ეკლესია და ერი აღნიშნავს ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღეს, რომელიც თავის დროზე ნეტარხსენებულმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააწესა. მოგეხსენებათ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ზნეობრივი ფასეულობების დაცვას. წელს პირველად ვხვდებით ამ დღეს მის გარეშე, თუმცა დღესასწაულის აღნიშვნით კვლავ ცოცხლობს მისი დიდი სულიერი მემკვიდრეობა, ის სიყვარული, ერთობა და ოჯახური სიწმინდისადმი პატივისცემა, რომელთაც იგი მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ამკვიდრებდა ერში. რა თქმა უნდა, ასევე გაგრძელდება მის მიერ დამკვიდრებული საყოველთაო ნათლობების ტრადიციაც, რომელიც ჩვენი ერის დემოგრაფიული წინსვლისა და სულიერი განმტკიცების ხელშემწყობად იქცა.

ქრისტიანული სწავლება ოჯახს მოიხსენიებს „მცირე ეკლესიად“, იმ სულიერ სივრცედ, სადაც, წმინდა იოანე ოქროპირს თუ დავესესხებით, მკვიდრობს უფალი და სადაც თავგანწირვით, სიყვარულით, ერთმანეთისთვის ლოცვით ვიზრდებით სულიერებაში. სწორედ ასეთი „მცირე ეკლესიები“ ქმნიან საღვთო მადლით გაერთიანებულ საზოგადოებას. ძვირფასო სტუმრებო, ასეთ დღეს თქვენი აქ ჩამობრძანებით განსაკუთრებით ვგრძნობთ და ვხედავთ, როგორ აერთიანებს ქრისტეს რწმენა და სიყვარული სხვადასხვა ერსა და ადგილობრივ ეკლესიას ერთ დიდ ქრისტიანულ ოჯახად, რომელიც დაფუძნებულია უფლის სიტყვით ნასაზრდოებ ზნეობრივ და სულიერ ფასეულობებზე.

დღეს თანამედროვე გამოწვევებით სავსე სამყაროში მართლმადიდებელ ეკლესიას უმნიშვნელოვანესი მისია ეკისრება. ის, როგორც ზნეობრივი ფასეულობების ორიენტირი და საფუძველი, ერის გამაერთიანებელი, ხალხში ქრისტიანული ღირებულებების განმამტკიცებელია. ამიტომ აუცილებელია, ეკლესიაც და სახელმწიფოც ერთად ვზრუნავდეთ მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდისათვის, ოჯახური სიწმინდისა და სიყვარულის დაცვისათვის. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ოჯახი არა მარტო პირადი სივრცე, არამედ ეროვნული იდენტობის საძირკველია. სწორედ ოჯახის სიმყარე განაპირობებს ძლიერ და ერთიან სახელმწიფოს.

ოჯახზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ჩვენი სულიერი შვილები და მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ძვირფასო სტუმრებო, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებს, ჩვენს თანამემამულეებზე ზრუნვისთვის, უცხოეთში მყოფი ქართველებისთვის თქვენი ტაძრების კედლებში აღმოჩენილი სულიერი ნუგეშისა და იმ დიდი ტკივილის შემსუბუქებისთვის, რასაც სამშობლოდან შორს ყოფნა იწვევს.

მადლობა ღმერთს და თითოეულ აქ მყოფს, რომ დღეს აქ შეკრებით, ერთობითა და სიყვარულით ვაგრძელებთ ეკლესიისა და ერისთვის მსახურებას.

დაე, ჩვენი გულები მუდამ შეკრული იყოს „საკრველითა სიყუარულისაჲთა“ ერთურთის მიმართ, რათა ჩვენზე აღსრულდეს უფალ იესო ქრისტეს სიტყვები: „ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“ (ინ. 13, 35), ამინ!

ხმა ერიდან

ხმა ერიდან

უწმიდესს და უნეტარესს შიო მესამეს

სიყვარულის მადლით იმოსება
სვეტიცხოვლის თაღთა ბრწყინვალება,
მკერდში მოგალობე სტრიქონებმაც
იგრძნეს გულის სისხლის მდინარება.

უხილავი ხელით მოგაცილებთ -
ისე ნათლის სხივი არ კიაფობს,
აჰა, უწმინდესის დალოცვილი
თქვენი მძიმე ჯვარი, პატრიარქო!

აჰა, ანდერძივით ამოთქმული
სიტყვა უკვალოდ არ გადაიარს,
ვიდრე ერთი გზა აქვს გასავლელი
უფალს, სამშობლოს და ადამიანს!

წლები ჟამთასვლისგან მოცელილი
ერთხელ მოლულუნე ხუნდებია,
როგორც აქშეული ფრინველები
უკან აღარასდროს ბრუნდებიან.

ერი შემოგყურებთ, გადამრჩენი
დღემდე ჩვენი რწმენის აფრებია,
მხოლოდ უკვდავების დანთებული
ხსოვნის კელაპტრები არ ქრებიან!

სიყვარულის მადლით იმოსება
სვეტიცხოვლის თაღთა ბრწყინვალება,
მკერდში მოგალობე სტრიქონებმაც
იგრძნეს გულის სისხლის მდინარება.

დღესაც სულიწმინდით აღივსება
ზეცად აღვლენილი აღსარება –
თქვენი სამწყემსური დაილოცოს,
თქვენი წმინდა ტახტზე დაბრძანება!

ვანო ჩხიკვაძე

უღრმესი პატივისცემით...

უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტო შიო III-ვ ამ „ტკბილი“ და „სუბუქი“ ტვირთის მიღებას.

უფლით, მრავალსა წელსა თქვენი მამამთავრობა ქართველთა ზედა.

მილოცვასთან ერთად მსურს, როგორც ერთმა რიგითმა ქართველმა, დიდი მადლობა მოგახსენოთ თქვენი ნაშრომისათვის, რომელიც თეკლათის დედათა მონასტერს, იქ მოღვაწე მოსაგრეთ და, განსაკუთრებით კი, ღირს მამა ალექსი შუშანიას ეძღვნება.

ლამის ოცი საუკუნეა კაცთა მოდგმა ქრისტეს ცხოვრების შემეცნებისათვის, მონაზვნური ცხოვრების წესს მიმართავს. განკერძოებული ლოცვაც ხომ უფლის მიბაძვით დაეწესა, მონაზონთა და მონასტერთა რაოდენობა იყო ყოველთვის ყველა ერის ქრისტიანული კულტურის შემამეცნებელ-განმსაზღვრელი. ამიტომაც არსებული, გარკვეული შიში რუსეთის ცარისტული თუ ბოლშევიკური რეჟიმების დროს საქართველოში მონასტრული ცხოვრების შეწყვეტისა, ამ მონოგრაფიასთან შეხვედრისთანავე ქრება.

მიუხედავად ხშირად ქართველთა ავბედითი ყოფისა, ჩვენს მიწაზე უწყვეტადაა წარმოდგენილი მონასტრული ცხოვრება, მონაზონთა თავდადება.

საბედნიეროდ, ცალკეული მონასტრისა თუ მონაზვნის ცხოვრება არასდროს ქცეულა ოდენ ისტორიის ნაწილად. იგი — მარად ცოცხალი ორგანიზმი მძლავრად ფეთქავდა ერის ცნობიერებაში. ამიტომაც რეკდა ზარი და ისმოდა ყველგან: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“. რეკდა ზარი, ისმოდა ქადაგება და ერი ინარჩუნებდა თვითმყოფადობას! ძლიერად რეკდა თურმე ზარი თეკლათის დედათა მონასტერშიც.

თქვენი ნაშრომის („თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიიდან“) რედაქტორი, ბატონი ზაზა აბაშიძე შესავალში სამართლიანად შენიშნავს, რომ „მართალია, ბოლო დროს გამოქვეყნდა XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიისადმი მიძღვნილი ბევრი საინტერესო ნაშრომი, მაგრამ მონასტრებსა და მათ ისტორიას ავტორები მხოლოდ გაკვრით თუ ეხებიან. მაშინ, როდესაც სამონასტრო ცხოვრება ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა“ და იქვე, გასახარად, „ჩვენი საეკლესიო ისტორიოგრაფიის ამ ხარვეზს ნამდვილად ავსებს წინამდებარე წიგნი“.

საკმარისია, მხოლოდ განხილულ საკითხთა სათაურების გაცნობა, რომ შეიგრძნო სიდიადე სიყვარულისა. იხილო გზა მიუწვდომელთან მიახლებისა.

და მაინც, ერთ თავს გამოვყოფდი – „ღირსი ალექსის მიერ ეროვნული და კულტურული ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა“. 1903 წელს, როდესაც კიდევ ერთხელ სცადეს სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, ქართულის ნაცვლად მეგრული შეეტანათ, „ღირსი ალექსი იმდენად შეწუხდა ყოველივე ამის გამო, რომ გადაწყვიტა, არჩეული ცხოვრების წესი დაერღვია და ეროვნული ინტერესების დასაცავად ხმა აემაღლებინა. ვკითხულობთ – „...მამა ალექსი ზურგზე თავისი დიდი ხის ჯვრით მიეგება თეკლათის დედათა მონასტრისაკენ მიმავალ ეგზარქოსს და გადასცა წერილი, სადაც ეწერა: „როგორც თქვენ გიყვართ რუსი ხალხი და რუსული ენა და გსურთ, რომ ჰყვაოდეს მრავალჟამიერ, ზუსტად ასევე მოექეცით ჩვენს ხალხს, ჩვენს ქართულ ენას, რათა მზაკვარმა ვერ ჩამოაცილოს თქვენი შვილები მართლმადიდებელ ეკლესიას“.

უფალმა შეიწირა ღირსი ალექსის მსხვერპლი – მთავარანგელოზთა კუნძულის სავანე საპატრიარქო სივრცედ იქცა! ღირსი ალექსის სულიერი შვილი ბრძანდებოდა ჩვენი დიდი მამის, ნეტარხსენებული პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის მოძღვარი შიო (ძიძავა). ღირსი ალექსის მადლიან სივრცეს ნაზიარები ბრძანდებით თქვენ – უწმინდესო და უნეტარესო. მხოლოდ ამ მადლით თუ იყო შესაძლებელი ამხელა შრომის გაწევა. ასეთი კრძალვით მონასტრულ-მონაზვნური ცხოვრების შესწავლა ერის სულიერი განწმედის საწინდარია, მისი მომავლის განმსაზღვრელ-განმაპირობებელია.

კიდევ ერთხელ მადლიერებითა და პატივისცემით,

ასმათ ჯიქია

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“

რაც დავიწყებით არ იბინდება

2010 წლის ერთ მზიან დღეს სიცოცხლის 105 წლის განმავლობაში ხანდაზმულ პელაგია დათუაშვილს კიდევ ერთი და ძალზე ძვირფასი მოგონება შეემატა.

ქალბატონი პელაგია შვილის, 86 წლის გივი დათუაშვილის თანხლებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს ესტუმრა.

პელაგია დათუაშვილი გასული საუკუნის დასაწყისში სოფელ კავთისხევში დაიბადა და შემდგომში თბილისის მკვიდრი გახდა.

ბატონმა გივიმ, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია, პატრიარქთან სტუმრობა მაშინ ასე შეაფასა: „მე ყოფილი ჟურნალისტი ვარ. ჩემს ცხოვრებაში გახარების ბევრი დღე მქონია, მაგრამ ასეთი სიხარული, ასეთი დაუვიწყარი შემთხვევა პირველი და უკანასკნელი იყო. ესაა დედაჩემისა და ჩემი ცხოვრების ერთგვარი გვირგვინი“.

ეს მრავალთაგან ერთი მაგალითია, როდესაც უწმინდესი და უნეტარესი ხანდაზმულთა ყოფით დაინტერესდა. შეხვედრის შემდეგ სტუმრებმა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელისაგან სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს.

დამშვიდობებისას პატრიარქმა ქალბატონ პელაგიას მიმართა: „კვირას ეზიარები... ყოჩაღად იყავი ჩვენთან ერთად... მადლობელი ვარ, რომ მობრძანდით. მამშვიდებს თქვენი მოფერება“.

... და კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით პელაგია დათუაშვილი სამების საპატრიარქო ტაძარში პირველად ეზიარა.

ეს ინფორმაცია გივი დათუაშვილის შვილმა, პოლიციის თადარიგის მაიორმა, გაზეთ „კლიტე დავითისის“ მკითხველმა, ბატონმა ნოდარმა რედაქციას სიონის საკათედრო ტაძრის შემოგარენში მიაწოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის გამოსამშვიდობებელი სამგლოვიარო პროცესიის დროს.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, გიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ხსოვნას

7 მაისს პლენარული სხდომა მისასალმებელი სიტყვით გახსნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, ფილოლოგიის, თეოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ.

რექტორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, პატივი მიაგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ხსოვნას და კიდევ ერთხელ გაიხსენა მისი უდიდესი ღვაწლი ერისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინაშე. რექტორმა საგანგებოდ აღნიშნა უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის მიერ დაარსებული სასულიერო აკადემიისა და სემინარიის როლი ჩვენი ეკლესიის წინსვლის საქმეში.

პლენარულ სხდომას უძღვებოდა სასულიერო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი თორნიკე რაზმაძე.

კონფერენციაზე მოხსენებებით წარდგნენ:

ნიკა ჭუმბურიძე — (სასულიერო სემინარია, I კურსი), „მოსაზრებანი კოლაელ ყრმათა მარტვილობის თაობაზე“ — ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან გვაზავა.**

ფოტინე გუნია — (ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, II კურსი), „ღვთისმშობლის გამოსახულებისათვის“ — ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი **ასმათ ოქროპირიძე**.

თორნიკე რაზმაძე — (სასულიერო აკადემია, I კურსი), „დაცემული ანგელოზის დასობრივი კუთვნილების შესახებ“ — ხელმძღვანელი თეოლოგიის დოქტორი **ირაკლი ორჟონია**.

სხდომის დასასრულს სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ დალოცა კონფერენციის მონაწილენი და მადლობა გადაუხადა მათ. რექტორმა გაწეული შრომისათვის საგანგებო მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს — ფილოლოგიის დოქტორს, ხათუნა კალანდარიშვილს, ფილოლოგიის დოქტორს, ხათუნა ნიშნიანიძეს და ფილოლოგიის დოქტორს, თამთა ფარულავას.

8 მაისს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციამ მუშაობა გააგრძელა ოთხ სექციად: თეოლოგია, ისტორია, ლიტერატურა, ფსიქოლოგია და სოციოლოგია.

თეოლოგიის სექციას ხელმძღვანელობდა სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი ლაშა ბზუკაშვილი.

მოხსენებებით წარდგნენ:

შავლეგო გაბათაშვილი — (სასულიერო აკადემია, III კურსი), „წმინდა იოანე სინელის სწავლება ქალწულების შესახებ“ — ხელმძღვანელი თეოლოგიის მაგისტრი, მღვდელი **საბა გელაშვილი**.

თეიმურაზ ჯავახიშვილი — (სასულიერო აკადემია, I კურსი), „ქორების მთაზე ყოვლადწმინდა სამების გამოცხადების საკითხისათვის“ — ხელმძღვანელი თეოლოგიის დოქტორი **ირაკლი ორჟონია.**

ლაშა ბზუკაშვილი — (სასულიერო აკადემია, III კურსი), „ინტერნეტდამოკიდებულების პრობლემა თანამედროვე ცხოვრებაში“ — ხელმძღვანელი თეოლოგიის მაგისტრი, მღვდელი **საბა გელაშვილი**.

ისტორიის სექციას ხელმძღვანელობდა სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტი გიორგი ზოიძე.

მოხსენებებით წარდგნენ:

მარიამ ყიფიანი — (საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტი, I კურსი), „მონათვაჭრობა საქართველოში“ — ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი **ნინო თომაძე**.

ლაშა მესხი — (საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტი, I კურსი), „ვახტანგ მეექვსე და თბილისის სტამბა“ — ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი **ნინო თომაძე**.

გიორგი ზოიძე — (სასულიერო აკადემია, I კურსი), „ძმები წკარბელაშვილების ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში“ — ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი **ხათუნა კალანდარიშვილი**.

დავით ხელაძე — (სასულიერო სემინარია, II კურსი), „წმინდა ნინოს ჯვარი და მისი ისტორია“ — ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**.

ნიკა ჭუმბურიძე — (სასულიერო სემინარია, I კურსი), „წმინდა ნინოს დაკრძალვის ადგილისათვის“ — ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**.

ომარ ლებანიძე — (სასულიერო სემინარია, II კურსი), „საქართველოს გაქრისტიანების თარიღთან დაკავშირებით“ — ხელმძღვანელი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**.

▶ მერვეე გვერდზე

▶ მეშვიდე გვერდიდან

ლიტერატურის სექციას ხელმძღვანელობდა ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი მირანდა ჭიაბერაშვილი.

მოხსენებებით წარდგნენ:

ანა გობეჯიშვილი — (ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, I კურსი), „წმინდა დავით გარეჯელის ცხოვრება“ და გარეჯის მწიგნობრული კერა“ — ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან მამასახლისი.**

მირანდა ჭიაბერაშვილი — (ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, III კურსი), „სიყვარული აგვამაღლებს“ — მიჯნურობის რუსთველური გაგება“ — ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან მამასახლისი**.

ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის სექციას ხელმძღვანელობდა სასულიერო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი გიორგი თორთლაძე.

მოხსენებებით წარდგნენ:

თორნიკე აბესაძე — (ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტი, III კურსი), — „მიზანი ამართლებს საშუალებას?!“ — ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან მამასახლისი**.

გიორგი თორთლაძე — (სასულიერო აკადემია, I კურსი), „სულიერი აღზრდის როლი პიროვნული ჩამოყალიბების საკითხში“ — ხელმძღვანელი ფილოლოგიის დოქტორი **ხათუნა კალანდარიშვილი**.

მირანდა ჭიაბერაშვილი — (ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, III კურსი), „აკვიატებული მდგომარეობის ნევროზი ფსიქოლოგიური და თეოლოგიური თვალთახედვით“ — ხელმძღვანელები: ფსიქოლოგიის მაგისტრი **ნათია ფრუიძე**, თეოლოგიის მაგისტრი **რევაზ მუჯირიშვილი**.

საბა ხუჭუა — (ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, I კურსი), „ისრაელის სასკოლო განათლების შესახებ“ — ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლელა ხაჩიძე**.

ლუკა ზაქრაძე — (ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი, I კურსი), „ყველაფერი ამაოა სიყვარულის გარდა“ (მღვდელ თეიმურაზ ქორიძის ქადაგებების მიხედვით) — ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლელა ხაჩიძე.**

საღვთისმეტყველო წერილები

უფლისმიერ პეტრესადმი სამგზისი შეკითხვის შესახებ

„და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა უფროჲს ამათსა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე, უფალო შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: აძოენ კრავნი ჩემნი“ (იოან. 21,15).

„ჰრქუა მას მერმეცა მეორედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა? ჰრქუა მას პეტრე: ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ (იოან. 21,16).

„კუალად ჰრქუა მას იესუ მესამედ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მეა? შეწუხნა პეტრე, რამეთუ ჰრქუა მას მესამედ: გიყუარ მე? და ჰრქუა მას: უფალო, შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყუარ შენ. ჰრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“ (21.17).

„ამენ, ამენ გეტყჳ შენ: ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყი თავით თჳსით და ხჳდოდი, ვიდრეცა გნებავნ. ხოლო რაჟამს დაჰბერე, განიპყრნე ჴელნი შენნი, და სხუამან შეგარტყას შენ და წარგიყვანოს, ვიდრეცა შენ არა გინდეს“ (იოან. 21,18).

ყოველი ღვთისგან დაკისრებული საქმე, რომლებიც პეტრემ და სხვა მოციქულებმა უნდა აღასრულონ, - რამეთუ მათაც ეხება უფლის პირველი შეკითხვა, - უკავშირდება სიყვარულს, რადგან მხოლოდ მათ ძალუძთ საღმრთო საქმეთა აღსრულება, ვისაც უფალი უყვარს.

პირველად შეკითხვისას: „გიყუარ მეა უფროჲს ამათსა?“ უფალი ახსენებს პეტრეს, თუ როგორ ფიცულობდა ის, ყველასაც რომ მიეტოვებინა უფალი, პეტრე არასდროს არ მიატოვებდა მას (მათ. 26,33). და პეტრე ახლა, აცნობიერებს რა თავის უძლურებას, პასუხში აღარ ედრება უკვე სხვა მოციქულებს, არამედ მხოლოდ საკუთარ თავზე ამბობს მდაბლად: „ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ“.

მეორედ და მესამედ შეკითხვისას, იმის გამო, რომ პეტრემ უარყოფის ცოდვით შესცოდა და გარკვეული ძალის და უნარების უპირატესობითაც გამოირჩეოდა სხვა მოციქულთაგან, უფალი აღადგენს რა მას განსაკუთრებული სახით მოციქულებრივ პატივში, უკვე სხვა მოციქულებთან შედარების გარეშე ეკითხება, უყვარს თუ არა იგი, და ამით აიძულებს მას, რომ სულ უფრო და უფრო მეტად ჩაუღრმავდეს თავის სულს და შეიცნოს საკუთარი თავი. გარდა ამისა, ამზადებს მას მოწამეობრივი აღსასრულისთვის.

უეჭველია, რომ უფლის სამგზის შეკითხვა პეტრეს ახსენებს მისი სამგზის უარყოფის შესახებ და განწმენდს მას უფლისმიერი მიმტევებლობით და მოლოდინით იმისა, რომ მოწამეობრივი და სისხლისმიერი ნათლისღებით განათლდება. წმინდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ: „უფალმა იესუმ სამგზისი შეკითხვით და პეტრეს სამგზისი აღიარებით, მის სამგზის უარყოფას უწამლა“.

„შეწუხნა პეტრე“ და შეჰღაღადა სულის სიღრმითგან, ცრემლებით, რომლებიც მისი სიტყვებიდან ჩანს: „უფალო, შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყუარ შენ“.

ამ შეკითხვებით უფალი არა მხოლოდ განწმედდა პეტრეს მისი სულის სიღრმეში, არამედ სრულიად აღადგენდა მას თავისი დიდი გულმოწყალებით სხვა მოწაფეთა თვალშიც, როცა თავისი სამწყსო ჩააბარა მას, და ამით საბოლოოდ გააქარწყლა მოწაფეთა შორის იმგვარი აზრის წარმოშობის შესაძლებლობა, რომ უარმყოფელს არ ძალუძს ქრისტეს სამწყოს დამწყემსვა.

დასავლეთის ეკლესიის ერთმა ღრმად მოაზროვნე წმინდანმა, ნეტარმა ავგუსტინემ კარგად შენიშნა, რომ უფალს არც პეტრესთვის და არც სხვა ვინმესთვის არასდროს უთქვამს: კრავნი შენნი ან ცხოვარნი შენნი. კრავნი და ცხოვარნი უფლის საკუთრებაა და ის არავის არ აძლევს მათ, არამედ მხოლოდ მწყემსებს განუჩინებს თავის სამწყსოს.

ნეტარი ავგუსტინე უფლისმიერი სიტყვებით ამგვარად პერიფრაზირებს: დამწყსე ცხოვარნი ჩემნი, ვითარცა ჩემნი და არა შენნი; ეძიე მათში ჩემი დიდება და არა შენი, ჩემი მეუფება და არა შენი.

უფალი მიმართავს რა პეტრეს სადილის ჟამს, არ უწოდებს მას პეტრეს, არამედ „სიმონ იონაჲსო“, რამეთუ უარყოფით შეცოდების შემდეგ ის იმადვე იქცა, რასაც აქამდე წარმოადგენდა თავისი ბუნებრივი ძალით და უნარებით.

გარდა ამისა, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ უფალი პირველად და მეორედ შეკითხვისას ხმარობს ზმნას αγαπαω, ხოლო მესამედ შეკითხვისას: φιλεω. პირველი ზმნა გულისხმობს ზოგად, ყოვლისმომცველ და სრულყოფილ სიყვარულს, ხოლო მეორე - კერძო და პირადულ გულისმიერ მიჯაჭვულობას. ამიტომ პეტრე მოციქული მაცხოვრის პირველ შეკითხვაზე: „გიყუარ (αγαπας) მეა უფროჲს ამათსა?“ პასუხობს: „ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ (φιλω) შენ“. ის მდაბლად, თითქოს ასე ეუბნება: „თუმცა, უფალო, მე არ გამაჩნია ის უსაზღვრო, ყოვლისმომცველი სიყვარული, რომელიც შენშია, მაგრამ მე პირადად ჩემი გულისმიერი სიყვარულით მიყვარხარ შენ“. და ახლა, როცა უკვე ქრისტე მესამედ ეკითხება მას, ცდის პეტრეს: აქვს კია მას თუნდაც ეს პირადული, მეგობრული მიჯაჭვულობა მასზე? და პეტრე, რა თქმა უნდა, წუხდება ამის გამგონე.

არაერთგვაროვანია ასევე დავალებები, რომლებსაც ქრისტე აძლევს პეტრეს ყოველი პასუხის შემდეგ. პირველ შემთხვევაში უფალი საუბრობს კრავების შესახებ, ხოლო მეორე და მესამე შემთხვევაში ცხვრების შესახებ: პეტრეს, როგორც მოციქულს, ეკისრებოდა ზრუნვა როგორც ახალნერგ ქრისტეანებზე, სარწმუნოებაში ჩვილებზე, ასევე უნდა ეზრუნა რწმენაში სრულქმნილებზეც. პირველ შემთხვევაში უფალი იყენებს ზმნას: βοσκε, რაც ნიშნავს: საძოვარზე წაყვანას, გამოკვებას, რამეთუ სულიერად ჩვილებთან მიმართებით მოციქულთა საქმიანობა უნდა ყოფილიყო ჯანსაღი, ჭეშმარიტი ქრისტეანული მოძღვრებით მათი გამოკვება. მეორედ უფალი იყენებს ზმნას: ποιμαινε, რაც კერძოდ ნიშნავს: ცხვრების წინამძღვრობას, რამეთუ მოციქულთა საქმიანობა სულიერად ზრდასრულებთან, უკვე ორგანიზებულ ქრისტეანულ თემებთან მიმართებით, უნდა ყოფილიყო მათი გაძღოლა, მართვა და ცხოვნების გზაზე დაკვალიანება. მესამედ უფალი კვლავ იყენებს ზმნას: βοσκε, რამეთუ განმტკიცებულნიც ქრისტეს სარწმუნოებაში მუდმივად საჭიროებენ მოციქულებრივ დამოძღვრას.

წმინდა წერილისეული მონაკვეთის განმარტება გიორგი ვლასტოვისა და დიმიტრი ბოგოლეპოვის კომენტარების მიხედვით მოამზადა დეკანოზმა **იოანე ბარკალაიამ**

ნაყოფიერი მეცნიერული შრომის თვალსაჩინო შედეგი

მღვდელი გიორგი ვაშალომიძე თეოლოგიის დოქტორია

2026 წლის 4 მაისს, ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის, საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის სააქტო დარბაზში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგმა, სემინარიის დეკანმა, მღვდელმა გიორგი ვაშალომიძემ წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია და მათი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები“. ნაშრომი მომზადდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლეისტიკის კათედრაზე; მიმართულება – ახალი აღთქმა.

სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი გახლდათ – თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი მიქაელ გალდავა; რეცენზენტები - სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი ბიძინა გუნია და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი, თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი იოანე ბონდარენკო.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებით გამართულ სხდომას ხელმძღვანელობდა სადისერტაციო საბჭოს თანათავმჯდომარე, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვას ესწრებოდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ღვთისმეტყველების სადისერტაციო საბჭოს წევრები: დეკანოზი ბიძინა გუნია – ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი (სწავლული მდივანი); დეკანოზი მიქაელ გალდავა – ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი; დეკანოზი გიორგი გუგუშვილი – ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი; მღვდელი იოანე ბონდარენკო – თეოლოგიის დოქტორი; მღვდელი ცოტნე ჩხეიძე – თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი; არქიდიაკონი დემეტრე (დავითაშვილი) – თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი; ედიშერ ჭელიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი; სერგო ვარდოსანიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი; ირაკლი ორჟონია – თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი.

სადისერტაციო კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობდა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი სტეფანე (კალაიჯიშვილი); სადისერტაციო კომისიის მდივანი გახლდათ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი მარიამ დიდებულიძე.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურას წარმართავდა სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, დეკანოზი ბიძინა გუნია.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვას ესწრებოდნენ – წალკის ეპარქიის ეპისკოპოსი, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა გრიგოლი (კაცია), გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, დეკანოზი ირაკლი ახალაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბატონი ზაზა სხირტლაძე, სასულიერო პირები, მეცნიერები, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ სხდომა გახსნა და პატივი მიაგო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნათელ ხსოვნას. ისაუბრა მის განუზომელ ღვაწლზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მთელი ქართველი ერისა და კულტურული სამყაროს წინაშე, წარმოაჩინა მისი განსაკუთრებული ძალისხმევა სულიერების, საეკლესიო განათლებისა და მეცნიერების აღორძინების მიმართულებით. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის უდიდესი ძალისხმევისა და ავტორიტეტის გარეშე თბილისის სასულიერო აკადემიაში ვერც სადისერტაციო საბჭო შეიქმნებოდა და ვერც დოქტორანტურა დაფუძნდებოდა, – აღნიშნა პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ.

ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტმა, მღვდელმა გიორგი ვაშალომიძემ, განსაკუთრებული მადლიერება და სიყვარული გამოხატა ახლად გარდაცვლილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიმართ და პატივი მიაგო მის ნათელ ხსოვნას, მის განუზომელ ღვაწლს სასულიერო და სამეცნიერო განათლების აღორძინების თვალსაზრისით.

მადლობა გადაუხადა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს, ვისი დიდი ძალისხმევისა და დაუღალავი შრომის შედეგია, რომ დღესაც, პატრიარქის მიერ დაარსებული უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა – თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია – არის მძლავრი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი – ადგილი, სადაც ჰარმონიულად ერთიანდება ცოდნა და რწმენა.

დისერტანტმა მადლიერება გამოხატა სამეცნიერო ხელმძღვანელის, დეკანოზ მიქაელ გალდავას მიმართ, რომლის კვალიფიციური დახმარებითაც შეძლო სადისერტაციო ნაშრომზე წარმატებული მუშაობა. ასევე, მადლობა გადაუხადა რეცენზენტებს, რომელთა საქმიანი რჩევები და მითითებები მნიშვნელოვნად დაეხმარა ნაშრომის სრულყოფასა და დახვეწაში. მადლობა გადაუხადა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, თეოლოგიის დოქტორს, მღვდელ ცოტნე ჩხეიძეს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, ქალბატონ მარიამ დიდებულიძესა და ფილოლოგიის დოქტორს, ქალბატონ ასმათ ჯიქიას სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისა და კვალიფიციური რჩევებისათვის.

მღვდელმა გიორგი ვაშალომიძემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობა, მეცნიერული სიახლეები და კვლევის ძირითადი შედეგები. აღნიშნულ ნაშრომში დისერტანტმა, პირველად სამეცნიერო სივრცეში, სისტემურად შეისწავლა სახარებისეული მოვლენების ამსახველი იკონოგრაფიის საღვთისმეტყველო საფუძვლები და დაასაბუთა, რომ

▶ მეათე გვერდზე

▶ მეცხრე გვერდიდან

ხატმეტყველება არ არის მხოლოდ ესთეტიკური, სტილისტური თუ ისტორიული ანალიზის საგანი, არამედ ეფუძნება თეოლოგიის, ეგზეგეტიკის, ლიტურგიკისა და ჰომილეტიკის ღრმა შინაარსს. შესაბამისად, „ვიზუალური ღვთისმეტყველების“ კონცეფციის ფარგლებში, იკონოგრაფია გააზრებულია არა მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეობით, არამედ სრულფასოვან თეოლოგიურ დისციპლინად და ქართული ხატწერის ნიმუშები შესწავლილია მათი ღრმა საღვთისმეტყველო დანიშნულების გათვალისწინებით. რამდენადაც იკონოგრაფია მიჩნეულია ეკლესიაში წარმოშობილი მწვალებლობების მხილების საშუალებად, დისერტანტმა ფერისცვალებისა და ჯვარცმის იკონოგრაფიის საფუძველზე არგუმენტირებულად დაასაბუთა ხატმეტყველებისა და თეოლოგიის განუყოფელი ერთიანობა და ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში იკონოგრაფიის განსაკუთრებულობა.

დეკანოზი მიქაელ გალდავა:

დოქტორანტის, მღვდელი გიორგი ვაშალომიძის, წინამდებარე, თეოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხისათვის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი: „სახარებისეული მოვლენების იკონოგრაფია და მათი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები“, თანამედროვე ქართულ თეოლოგიურ სივრცეში საინტერესო და საყურადღებო შემოთავაზებაა.

კვლევის თემა აქტუალურია, რამდენადაც იკონოგრაფია, ქრისტიანულ სახელოვნობო სივრცეში „ვიზუალურ ღვთისმეტყველებად“ სახელდებული, ქრისტიანული თეოლოგიის თანმდევი ფენომენია და მისდამი ინტერესი არასოდეს ცხრება. სამეცნიერო-თეოლოგიური წინსვლები, რაც უპირობოდ ეფუძნება სამოციქულო ეკლესიის წმინდა სწავლებებს, უცილობლად მოიაზრებს ქრისტიანული ხატწერის განუწყვეტელ კვლევას, მისი სიღრმეების და სიმაღლეების შესაბამის წვდომას. დისერტანტი სათანადოდ ხედავს ამ მარად ცოცხალ პროცესს და იკონოგრაფიის მნიშვნელობის მასშტაბს ეგზეგეტიკის, ჰომილეტიკისა და ლიტურგიკის თეოლოგიური ერთმთლიანობით წარმოაჩენს.

ყოველივე ზემოთქმული, თავის მხრივ, განსაზღვრავს კვლევის მიზნებსა და ამოცანებს. იკვეთება ნაშრომის უმთავრესი ასპექტი - სახარებისეული რეალობის იკონოგრაფიის საფუძველი ქრისტიანული ღვთისმეტყველებაა. ხატწერაში შეუძლებელია შემთხვევით არსებობდეს ფერი, ხაზი, სახე თუ გამოსახულება. ყველაფერი მოცემული მხოლოდ შესაბამის საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებით ჭეშმარიტებას ეფუძნება. იკონოგრაფიისა და ღვთისმეტყველების ორგანული ერთობა სადისერტაციო ნაშრომში ზედმიწევნითაა ასახული, რაც არგუმენტირებულია ეკლესიის წმინდა მამათა სწავლებებით და საღვთისმეტყველო-სამეცნიერო კვლევებით.

დისერტანტის მიერ შემოთავაზებული სამეცნიერო კვლევის პრინციპი ამგვარია: კონკრეტულ სახარებისეულ მოვლენას, რაც მართლმადიდებლური იკონოგრაფიითა გადმოცემული, თან მოსდევს ამავე ხატმეტყველებითი მოცემულობის როგორც საღვთისმეტყველო, ასევე სახისმეტყველებითი ანალიზი, რომელთა სინთეზი მასშტაბურად წარმოაჩენს წმიდა წერილისეული სიღრმის რეალობას. იკონოგრაფია, ზოგადად, ღვთისმეტყველების ორგანული ნაწილი და მისი თანმდევია, რომელიც, თავისი პრინციპებიდან გამომდინარე, აღრმავებს ეგზეგეტურ ხედვას: ვიზუალური შესაძლებლობებით, ქრისტიანული ხელოვნება უხილავის ჭვრეტისაკენ მიმართავს ადამიანს. იგი ხსნის სარკმელს, რაც ხილულ და უხილავ სამყაროს შორის არსებობს, და, ამის კვალობაზე, წარმოაჩენს სამყაროს, როგორც მთლიანსა და ერთი შემოქმედის ცოცხალ ნაყოფს. გარდა ამისა, ის, რაც ისტორიული რეალობა გახლავთ (ვგულისხმობთ სახარებისეულ მოვლენებს), თავისი სულიერი ასპექტებით, ლიტურგიკული მოცემულობით ყოველთვის თან ახლავს ქრისტიანს, რომლის ცხოველმყოფელობას განსაკუთრებულად გამოკვეთს ხატწერა, როგორც სულიერი რეალობის დაუცხრომელი ადამიანური აღქმა. და სწორედ ეს, ქრისტიანული ეგზეგეტიკისა და ქრისტიანული ხელოვნების ურთიერთმიმართება, მათი ჰარმონიული წყობა არის წარმოჩენილი წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მიმართულების კვლევა, ქართულ თეოლოგიურ სივრცეში, გარკვეული ისტორიული ძნელბედობის გამო (ვგულისხმობთ იმ ტექნიკურ და სულიერ-მორალურ სირთულეებს, რაც მე-20 საუკუნის საქართველოში არსებობდა, 70 წლის მანძილზე, ბოლშევიკი კომუნისტების მმართველობის პირობებში), გარკვეულწილად, სიახლეს წარმოადგენს. ხსენებულ ძნელბედობისას ხელოვნებათმცოდნეებს, სახელოვნებო კვლევითი მიმართულებით, შეზღუდვები ნაკლებად ჰქონდათ, მაგრამ იკონოგრაფიის საღვთისმეტყველო საფუძვლების კვლევა წახალისებული არ გახლდათ. დღევანდელმა რეალობამ თეოლოგებს შესაძლებლობა მისცა, იკვლიონ საკითხები არა ცალმხრივად, არამედ სრული მთლიანობის გათვალისწინებით, რადგან ერთია ხელოვნება, მხოლოდ მისი ტექნიკური მოცემულობით, და მეორეა, როცა გასაგები ხდება ამ ტექნიკური მოცემულობის სულიერი წყარო, მისი არსებობის განმაპირობებელი მიზეზი. ამგვარად, მისასალმებელია სწორედ ასეთი ხასიათის ნაშრომის გამოჩენა სამეცნიერო აუდიტორიის წინაშე.

ასევე, აღსანიშნავია თეორიული მხარე, ნაშრომის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობა. როგორც აღვნიშნეთ, დისერტანტმა წარმოაჩინა ქრისტიანული ღვთისმეტყველების და ქრისტიანული იკონოგრაფიის ორგანული კავშირი, გამყარებული ეკლესიის წმინდა მამათა სწავლებებით. გამოკვეთა ხატწერის განვითარების ისტორიული ეტაპები და ამ განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიუანსები, ნაშრომს თან დაურთო შესანიშნავი და კვლევითი საკითხებისათვის შესატყვისი იკონოგრაფიული ნიმუშები, მოიხმო დიდძალი, სოლიდური საღვთისმეტყველო და ხელოვნებითი ლიტერატურა, რომლის გათვალისწინება თანაბრად იქნება მნიშვნელოვანი ქრისტიანული ეგზეგეტიკით, ჰომილეტიკით, ლიტურგიკითა და ქრისტიანული ხელოვნებით დაინტერესებული აუდიტორიისათვის.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, დეკანოზმა მიქაელ გალდავამ ისაუბრა ნაშრომის ღირსებებსა და მის ინტერდისციპლინარულ მნიშვნელობაზე.

სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალურმა რეცენზენტებმა – დეკანოზმა ბიძინა გუნიამ და დეკანოზმა იოანე ბონდარენკომ – დადებითად შეაფასეს მღვდელ გიორგი ვაშალომიძის ნაშრომი, გამოთქვეს კვალიფიციური შენიშვნები და რეკომენდაციები.

გაიმართა სამეცნიერო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები. ერთხმად აღინიშნა ნაშრომის მაღალაკადემიური დონე, აქტუალობა და მისი მნიშვნელობა როგორც საეკლესიო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით.

სადისერტაციო საბჭომ ნაშრომი მაღალი ქულით შეაფასა და მღვდელ გიორგი ვაშალომიძეს ერთხმად მიენიჭა თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტთა წარმატება ახალგაზრდულ პროექტში

ახალგაზრდობის სააგენტომ დაასრულა ახალგაზრდული პროექტის — „მე, ოჯახი, სახელმწიფო“ — ოთხთვიანი ეტაპი. პროექტში ჩართული იყო ოცდასამი უმაღლესი სასწავლებელი, კოლეჯი და ახალგაზრდული ცენტრი. პროექტის ინიციატორები თვეების განმავლობაში შეხვდნენ და ინფორმაცია მიაწოდეს ორიათასზე მეტ ახალგაზრდას, რომელთაგან სამას ოცმა უშუალოდ მიიღო მონაწილეობა პროექტში.

მონაწილეებმა საკონკურსო ნამუშევრები წარადგინეს პროექტის ოთხი თემატური მიმართულებით: თაობათაშორისი ურთიერთობები, ოჯახი, მიგრაცია და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. იმავდროულად, თითოეულ საკონკურსო ნამუშევარში უნდა შენარჩუნებულიყო მთავარი ხაზი — მოქალაქის, ოჯახისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირი, რაც გამოიხატებოდა ლოზუნგით: „ვინახავთ ძველს, ვეძიებთ ახალს.“

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტები იმთავითვე დიდი მონდომებით ჩაერთნენ ამ პროექტში.

ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა — ლევან ხელაიამ და საბა ჩუგუაშვილმა კონკურსზე წარადგინეს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც შიდა მიგრაციას, დაცლილი სოფლებისა და ქართველი ემიგრანტების პრობლემას ეხება.

ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა გიორგი მჭედლიშვილმა კონკურსზე წარადგინა ესე — ქალთა და ბავშვთა უფლებების, ქორწინებისა და განქორწინების, მრავალშვილიანობისა და აბორტის შესახებ.

ლევან ხელაიასა და საბა ჩუგუაშვილის მიერ გადაღებული ფილმი გამარჯვებულთა შორის დასახელდა და ავტორებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. გამარჯვება მოიპოვა გიორგი მჭედლიშვილის ესემაც და გიორგისაც გადაეცა სერტიფიკატი.

მადლობის სიგელი გადაეცა, ასევე,

თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას ახალგაზრდულ პროექტში — „მე, ოჯახი, სახელმწიფო“ — აქტიური მონაწილეობისათვის.

სურათებზე: ლევან ხელაია, საბა ჩუგუაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სამეცნიერო კონფერენცია
„ლიტერატურული
კონცეპტები და სხვა...“

მიეძღვნა

ლაურა
გრიგოლაშვილის,
რევაზ სირაძისა და
გრივერ ფარულავას

დაბადებიდან
90 წლის იუბილეს

8 მაისი
2026

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 8 მაისს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თაოსნობით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია – „ლიტერატურული კონცეპტები და სხვა...“, რომელიც მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორების – ლაურა გრიგოლაშვილის, რევაზ სირაძისა და გრივერ ფარულავას დაბადებიდან 90 წლის იუბილეს. საიუბილეო ღონისძიება გაიხსნა გამოფენით, რომელზეც წარმოდგენილი იყო მეცნიერთა წიგნები, ხელნაწერები, პირადი ნივთები, ფოტოსურათები.

სხდომის დასაწყისში უნივერსიტეტელებმა ის დრო გაიხსენეს, როცა სტუდენტობისას ლაურა გრიგოლაშვილის, რევაზ სირაძისა და გრივერ ფარულავას ლექციებს უსმენდნენ, მათთან თანამშრომლობდნენ, მეგობრობდნენ.

მოსაგონარი სიტყვით გამოვიდნენ ფაკულტეტისა და კათედრის ხელმძღვანელები, თანამშრომლები, მასწავლებლები, კოლეგები, მეგობრები: დარეჯან თვალთვაძე, ელგუჯა ხინთიბიძე, ივანე ამირხანაშვილი, ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი, ნანა ქირია, ქეთევან გვაზავა, მაია ტორაძე, თამთა ფარულავა.

აღინიშნა, რომ ამ სამ მეცნიერს ერთმანეთთან აკავშირებდა არა მხოლოდ სტუდენტობისდროინდელი მეგობრობა, არამედ მსგავსი სამეცნიერო-პედაგოგიური ღვაწლი – ღრმა, სამეცნიერო ნააზრევი, უნივერსიტეტის დამაარსებელთა მემკვიდრეობის ღირსეული გააზრება, თავმდაბლობა სტუდენტებთან ურთიერთობისას.

ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო სამეცნიერო მოხსენებებს, რომელზეც წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტისა და სასულიერო აკადემია-სემინარიის თანამშრომელთა კვლევები.

●

ვაქვეყნებთ კონფერენციის მონაწილის, ფილოლოგიის დოქტორის, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგის,

ქეთევან გვაზავას სიტყვას.

სახელოვან მოძღვართა სამადლობელი

დღეს ჩვენს სამ პედაგოგს, მათ ღვაწლსა და პროფესიონალიზმს მივაგებთ პატივს და გულწრფელ მადლობას ვწირავთ აკადემიური სინდისიერების, ნიჭისა და პიროვნული კეთილშობილების გამო. კოლეგიალობის ნიმუშად გვრჩება აგრეთვე მათი ღირსეული ურთიერთდამოკიდებულება და მოკრძალება ერთმანეთისადმი.

მეცნიერების განვითარება, როგორც ყოველგვარი პროგრესი, დინამიკური პროცესია: თვალსაზრისები, შესაძლოა, მყიფეც აღმოჩნდეს და მყარიც, ან სულაც, მორალურად მოძველდეს და გადაისინჯოს როგორც მონოდარგობრივი, ასევე ინტერდისციპლინური თვალთახედვით.

ჩვენი მასწავლებლების სასახელოდ, და ჩვენდა საბედნიეროდ, მათი კვლევითი მიღწევები, ნაღვაწ-ნაფიქრი არც გადასინჯულა და არც მოძველებულა სწორედ იმიტომ, რომ სწორ მეთოდოლოგიურ და მსოფლმხედველობით საფუძველს ეყრდნობოდნენ და ძველი ქართული მწერლობის ესთეტიკისა და ეთიკის სფეროს არა მხოლოდ როგორც ლიტერატორები იკვლევდნენ, არამედ მათ კომპეტენციას ინატრებდა ქრისტიანული კულტურისა და თეოლოგიის ნებისმიერი მკვლევარი არამხოლოდ ჩვენს ქვეყანაში.

ნატიფი და გამორჩეულად ნიჭიერი მკვლევრის – ქალბატონ ლაურა გრიგოლაშვილის – ინტერესი განსაკუთრებით გამომჟღავნდა ჰიმნოგრაფიის თეორიული და სახისმეტყველებითი კვლევისას. მეცნიერის ინტუიცია და სოლიდური განათლება ღმრთისმეტყველებასა და ქრისტიანულ ჰერმენევტიკაში საუცხოოდ წარმოჩნდა მის მონოგრაფიულ ნაშრომში „დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. მისმა კვალიფიციურმა და კონცეპტუალურად მართებულმა კვლევამ დაჩრდილა ამ ძეგლის შესწავლის სხვათა მცდელობანი.

ხოლო მის ფუნდამენტურ კვლევას ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ შესახებ გვერდს ვერ აუვლის ქრისტიანული თეოლოგიის მკვლევარი. მისი საგულისხმო წერილები, რომელთაც ის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის სხდომებსა და კონფერენციებზე წარმოადგენდა ხოლმე, ფრიად საგულისხმო გახლდათ ყველა ფილოლოგისათვის აზრის სიღრმითა და, იმავდროულად, ძალზე მოზომილი მსჯელობით, რითიც იძლეოდა მაგალითს, თუ როგორი დელიკატური უნდა ყოფილიყო მეცნიერი თავისი თუ სხვათა პოზიციის გამოთქმისას და არასდროს გადაელახა ეთიკურობისა და ჯანსაღი აკადემიურობის მიჯნა.

ერთი ბედნიერებაა მასთან ურთიერთობა! ასე იყო მაშინაც, ჩვენს სიჭაბუკეში. უცნაური ტალანტი გამოარჩევდა მას სხვათაგან – თან ახლობელი იყო, ძალიან თბილი, ყურადღებიანი და, იმავდროულად, საოცრად არაფამილარული; სიყვარულთან ერთად, სულ გრძნობდი მის მიმართ წრფელ კრძალვას და სიფრთხილეს, როგორც ნატიფი ჭურჭლის შეხებისას ვფრთხილობთ ხოლმე. მის სულიერ სიფაქიზეს მაგალითის ძალა ჰქონდა, ან როგორ კითხულობდა ხოლმე ლექციებს: ხანდახან ლამაზი და მეტყველი თვალების მზერა სადღაც ჩვენს ზევით ეპარებოდა, შთაგონებითა და უაღრესად დახვეწილი მჭევრმეტყველებით გვხიბლავდა... რაღა დაგიმალოთ და, დღემდე არც მჯერა, ლიტონი, საყველპურო ენით საუბარი თუ შეუძლია...

საუკეთესო და გამორჩეული ქალბატონები გვასწავლიდნენ, მაგრამ ქალბატონი ლაურა ყველაზე მშვენიერი იყო ობიექტურადაც და სუბიექტურადაც. ის ყველას გვიყვარდა და ერთგვარად ვეთაყვანებოდით კიდეც. ეს მიმართება მხოლოდ მისი მიზეზით როდი ჩამოგვიყალიბდა, ასე ეპყრობოდნენ მას კოლეგები და, განსაკუთრებით, განუყრელი მეგობრები – ბატონი რევაზ სირაძე და ბატონი გრივერ ფარულავა – ჩვენი დაუვიწყარი მასწავლებლები.

მერგო პატივი, უნივერსიტეტსა და შემდგომ სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ვყოფილიყავი ამ დიდებული ადამიანების მარადიული შეგირდი და უმრწემესი კოლეგა. წლების მანძილზე ვაკვირდებოდი როგორც მათ მადლიან მსახურებას საქართველოს ეკლესიისადმი, ისე მომავალ თეოლოგთა გულწრფელ აღფრთოვანებასა და მადლიერებას მათ მიმართ.

ორივენი არა მხოლოდ საღმრთისმეტყველო საკითხებს განიხილავდნენ ხოლმე, არამედ მარადიული მშვენიერების მაძიებლობას უნერგავდნენ სტუდენტებს. ბატონი რეზო ბრძანებ-

▶ მეთორმეტე გვერდზე

▶ მეთერთმეტე გვერდიდან

და, რომ „მეცნიერებაც საბოლოოდ ხელოვნების უმაღლეს მიზნებს განახორციელებს... მიისწრაფვის უმაღლესი ჭეშმარიტებისაკენ“-ო. ამ თვალთახედვით მიგვანიშნებდა, რომ ნამდვილად არსებობს აზრის, ფიქრის ესთეტიკურობით ტკბობა, რომელიც მშვენიერების რეგისტრის უკიდურესი ზრდის დროს ირაციონალურობის ნიშან-თვისებას იძენს და ტრანსცენდენტულზე ფიქრს აღვიძებს ადამიანში. ამის კვალობაზე კი, ყოფიერების საზრისსაც უფრო მართებულად ვიმეცნებთ. როგორ ფიქრობთ, ამგვარად წარმოჩენილი ჩვენი ლიტერატურის მიმართ, განა გულგრილი დარჩებოდა ღმრთისმეტყველებითი და სახისმეტყველებითი ეგზეგეზისის მაძიებელი მავანი სტუდენტი თეოლოგი?! მან გვასწავლა, რომ მეცნიერება, მეცნიერული აზრი, თურმე შესაძლოა, იქცეს პოეზიად, ხოლო ემპირიულში მიმალულ-დაუნჯებული მშვენიერების ძიება დაუძლეველი პიროვნული აუცილებლობაა და ასე უნდა იცხოვრო. სწორედ ასე!

იშვიათად მინახავს ასეთი მრავალმხრივი და კვლევითი მიგნებების სიუხვით გამორჩეული ადამიანი – მასთან ხუთწუთიან საუბარში ლამის ორი დისერტაციის თემას აკენკავდა დაყურადებული მსმენელი. „ესაა სიკეთე!“ – დიაგნოზივით ბრძანებდა ხოლმე და ხვდებოდი, რომ ამ ფრაზით, ნებსით თუ უნებურად, შესაქმისეული შეფასების ტვიფარს ადებდა ყოველგვარ პოზიტიურს. სულ სიკეთე და სხვისი აშენება ეწადა, რამდენი დააფრთიანა, ამიტომაც უამრავი იჩემებს მის სიყვარულს და მისი მოწაფეობა ეამაყება.

ქალბატონმა ლაურამ, ბატონმა რეზომ და მათმა რუსთველური ყაიდის მეგობარმა – ბატონმა გრივერმა – გვასწავლეს მხატვრული სიტყვის მშვენიერების ჩხრეკა, ჩაგვინერგეს წინაპართა ნააზრევის შემეცნების სურვილი და კიდევ – სულიერი მხედრობის საკუთარ არსებაში გამოზრდის უნარი. ამ უკანასკნელის გარეშე კი, ლირიკა

და სენტიმენტალურობაა კულტურის სიყვარული, ვინაიდან ის მხოლოდ მისი მეშვეობით იქცევა მსახურებად.

სიბრძნისა და მშვენიერების, ნამდვილი და უკეთესი სამშობლოს მაძიებელი იყო ბატონი გრივერი, მარტვილთა და სულიერი მოსაგრეობით გამორჩეულ ბერთა ღვაწლით აღფრთოვანებული, რუსთველის რაინდთა მეტრფე და შემამკობელი. ნიადაგ ჩვენს დიდ წინაპრებს აყურადებდა, ეტრფოდა და ებაძვებოდა, მათებრ განიზიდავდა მიწიერ კეთილდღეობას, ხოლო ზნეობრივ პრინციპებს წვრთნიდა და ამკვიდრებდა თავის თავსა და მრავალრიცხოვან მოწაფეებში. მისთვის ეს ქვეყანა ერის უკვდავ, უკეთეს შვილთა საცხოვრისი იყო, თითქოს არც განარჩევდა რეალურ პიროვნებასა და პერსონაჟს ერთმანეთისაგან, ვინაიდან ერის კულტურული თვითცნობიერებისათვის ორივეს ერთი ფასი აქვს. ეგ კი არადა, მხატვრულ გამონაგონს, სახისმეტყველებითი ინტერპრეტირებისა და ემოციური ზემოქმედების წყალობით, ეგებ იდეურად მეტადაც შეეძლოს ერის სულიერი წრთობა. ბატონი გრივერი იმ სამყაროს ერთგული მცველი და მოჭირნახულე იყო, რომელშიც პროფანული დრო-ჟამისაგან დამოუკიდებლად და, ამასთანავე იმავდროულად, რჩეული ავტორები და პიროვნებები ერთდროულად მკვიდრობდნენ, როგორც თავად უყვარდა თქმა, გრიგოლ ხანძთელისა და ავთანდილის ამ ქვეყანაში. ის რუდუნებითა და დაუღალავად ემსახურებოდა სწორედ ამ ქვეყანას თავისი რჩეული ენამჭევრობით, კალმითა და სასხლავითაც კი, ვინაიდან ის, ძველქართულად თუ ვიტყვით, მეცნიერი იყო, ანუ მცოდნე, სამყაროს შემმეცნებელი და არც მიჯნავდა ერთმანეთისგან თხზულებისა თუ ვაზის მოვლა-პატრონობას. მას ორივე სჭირდებოდა, რადგან ცალმხრივი, უსრული შემეცნებისათვის სწორედაც არ მიებოძა ადამიანს უნივერსუმი.

სიღრმით გამორჩეული სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა, ჩვენთვის საგულისხმო იყო ბატონი გრივერის პედაგოგიური იერსახე და პათოსი, რომლითაც ჩვენც აგვანთო და გვაგრძნობინა, რომ მასწავლებლობა მოძღვრობად იქცევა ჭეშმარიტი სიყვარულის მადლით და უფლისადმი მობაძავობაც ესაა.

ჩვენთვის სამაგალითო იყო ჩვენი მასწავლებლების თანამოაზრეობაც როგორც ღირებულებითი, მსოფლმხედველობითი ასპექტით, ისე პროფესიული მიმართებითაც. ამის მაგალითად გამოდგება ურთიერთშემამყარებელი არგუმენტები და პოზიცია, ვთქვათ, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შესახებ. ტექსტის უადრესობის ბატონ რეზოსეულ თვალთახედვას ბატონმა გრივერმა შეაგება მნიშვნელოვანი კვლევა თხზულების სხვა რაკურსისჟანრობრივ-გვარეობრივი რაგვარობისა და რეკონსტრუქციის თაობაზე და, ფაქტობრივად, შეამტკიცა კოლეგისა და მეგობრის პოზიცია. ასე რომ, ეს იყო მათი ერთობლივი მიმართულებით ხედვის დადასტურებაც.

დროთა კავშირის ურღვევობა ადამიანთა პასუხისმგებლობა და, ეგებ, ვალდებულებაცაა. ამ ლოგიკით, ჩვენ – უამრავ მადლიერ ადამიანს – გვერგო ბედნიერება, მოკრძალებით თავი მოგვეაზრებინა უმრწემეს მოწაფეებად ბატონი კორნელის მოწაფეებისა, რომელთაც ისეთივე კრძალვა და სიყვარული გვასწავლეს, თავადაც ცხოვრებისეულ კრედოდ რომ იმემკვიდრეს დიდი მეცნიერისაგან.

ელენე მაჭავარიანის ხსოვნას

არიან ადამიანები, რომელთა გარდაცვალებაც ხანდაზმული ასაკის მიუხედავად მოულოდნელია და უდროოდ გეჩვენება. ქალბატონი ელენე მაჭავარიანი მათ რიცხვს განეკუთვნება. მუდამ შემართული, თავისი საქმის პროფესიონალი, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. სტუდენტების საყვარელი პედაგოგი, დაუზარელი ლექტორი, გამორჩეული გარეგნობით, მუდამ მომღიმარი, ხალისიანი საუკეთესო მაგალითს გვაძლევდა ჩვენც და სტუდენტებსაც. იგი უშურველად გასცემდა ცოდნას და ახალ თაობას წიგნის ისტორიას, მწიგნობრობას, ქართულ ანბანს აყვარებდა.

ელენე მაჭავარიანი დაიბადა 1931 წელს.

1954 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო 1958 წლიდან. 1958-1968 წლებში იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროსი, ხოლო 1988-2004 წლებში უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „XII-XIII სს. ქართულ და ბიზანტიურ მოხატულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისათვის“, ხოლო 1987 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „XI-XIV სს. ქართული ოთხთავის დეკორატიული მორთულობის სისტემა“. ელენე მაჭავარიანის კვლევის სფერო იყო შუასაუკუნეების ხელნაწერი წიგნის გაფორმება, ასლების გადაღება ორნამენტებიდან, მინიატურებიდან და ძველი დამწერლობის წიგნებიდან. 2004-2009 წლებში იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი, ხოლო 2009 წლიდან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტის მთავრი სპეციალისტი“.

2000 წლიდან მუშაობდა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც კითხულობდა შემდეგ სალექციო კურსებს: 1. „ქართული ხელნაწერი წიგნის სამინიატურო ხელოვნება“ და

2. პალეოგრაფია. 1990-ანი წლებიდან თანამშრომლობს თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტთან. 2016 წლიდან ამავე ფაკულტეტის პროფესორია.

ელენე მაჭავარიანი მონაწილეა ქართულ-ბიზანტიური, ქართულ-სომხური ხელოვნების და ქართულ-ებრაული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესებისა (ლენინგრადი, ერევანი, მოსკოვი, ვენა), 1970 წელს მონაწილეობდა წიგნის IX საერთაშორისო კონკურსში მოსკოვში.

ელენე მაჭავარიანი იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ხოლო 1988-2005 წლებში გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. 1988-2006 წლებში კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 2006 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის წევრი. ელენე მაჭავარიანი მუდმივად მუშაობდა ვენის, მოსკოვის, პეტერბურგის წიგნსაცავებში ქართულ და ბიზანტიურ მოხატულ ხელნაწერებზე, მოსკოვის ხელნაწერი წიგნის სარესტავრაციო განყოფილებებთან. 2010 წლიდან იყო მხატვარ-კალიგრაფისტთა კავშირის წევრი. მისი პერსონალური გამოფენები მუდმივად იმართებოდა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ სხვადასხვა წლებში.

1970 წელს ელენე მაჭავარიანი დაჯილდოვდა ივანე ფეოდოროვის სახელობის დიპლომით წიგნისათვის: „ქართული ხელნაწერები“. 2009 წელს მიიღო საქართველოს ეროვნული აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობითი პრემია ნაშრომთა ციკლისათვის: „ქართულ სამწიგნობრო ცენტრებში შექმნილ ხელნაწერთა მხატვრული მორთულობის საკითხები“. ამავე წელს დაჯილდოვდა პარნასის სიგელით - „წლის ალბომი“, წიგნისათვის, „ქართული დამწერლობა“.

2017 წელს დაჯილდოვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის მიერ ბოძებული საპატრიარქოს სიგელით „ქართული ქრისტიანული კვლევისა და ხელნაწერთმცოდნეობის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.“

ავტორია 7 წიგნისა და 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის.

ქალბატონი ელენე ჩვენი პატრიარქის თანატოლი გახლათ, მეგობრობდა მასთან და მხარში ედგა ქართული მწიგნობრობის, ქართული ხელნაწერების კვლევისა და განვითარების საქმეში.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის თანამშრომლები

გაზეთის მაისის ნომერი მოამზადეს გივი შეყილაძემ (რედაქტორი),
სალომე გოგინაშვილმა (პასუხისმგებელი მდივანი),
დოქტორანტმა რეზო მუჯირიშვილმა,
დეკანოზმა იოანე ბარკალაიამ (საღვთისმეტყველო წერილების კურატორი)
დამკაბადონებელი - **შორენა ფარქოსაძე**
დაიბეჭდა შპს. „მერიდიანის“ სტამბაში